

## ხელშეკრულება

2017-2018 სასწავლო წლისათვის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ

ქ. თბილისი....., 2017წ.

ერთის მხრივ შპს „თბილისის მწვანე სკოლა“, (შემდგომში წოდებული, როგორც „სკოლა“) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა დავითურის სახით და მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ პ/ნ \_\_\_\_\_ (შემდგომში წოდებული როგორც „მოსწავლე“) წარმოდგენილი მისი კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის \_\_\_\_\_ სახით პ/ნ: \_\_\_\_\_ (შემდგომში წოდებული როგორც „მშობელი“) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით სკოლა და მოსწავლე თანხმდებიან, რომ მოსწავლე ჩარიცხება თბილისის მწვანე სკოლის პირველ კლასში 2017-2018 სასწავლო წლისათვის და სკოლა გაუწევს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ საგანმანათლებლო მომსახურებას.
- 1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა შორის არსებული უფლება-მოვალეობანი.
- 1.3. ის, რაც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება სკოლის შინაგანაწესითა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

### 2. ხელშეკრულების თანხა (სასწავლო გადასახადი) და გადახდის პირობები

- 2.1. სწავლის წლიური ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს, რომლის გადახდა ხდება უნაღლო ანგარიშსწორების გზით.
- 2.2. მშობელი ვალდებულია 2017 წლის 15 ივნისამდე ბე-ს სახით გადაიხადოს სასწავლო გადასახადის 10% (ათი), რომელიც შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.
- 2.3. თანხის ერთიანად გადახდისას მოქმედებს 10%-ანი (ათი) ფასდაკლება, თუ მშობელი არ დაარღვევს 2.2. პუნქტში მითითებულ ვალდებულებას და ამასთანავე სასწავლო გადასახადს 4000 (ოთხი ათასი) ლარს გადაიხდის 2017 წლის 15 ივნისამდე.
- 2.4. თუ მშობელი დაარღვევს 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებს, მაშინ იგი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის წლიური ღირებულება 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, ორ ეტაპად: 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი 2017 წლის 5 (ხუთი) სექტემბრამდე და 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) 2017 წლის 5 დეკემბრამდე.
- 2.5. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. და 2.3. პუნქტებით გათვალისწინებული პირობები მოქმედებს 2017-2018 სასწავლო წლისათვის. ყოველი მომდევნო სასწავლო წლისათვის სწავლის საფასურის გადახდა მოხდება 2.4. პუნქტში მითითებული ვადების შესაბამისად.
- 2.6. თანხის გადახდა უნდა მოხდეს ბანკის საშუალებით შემდეგანგარიშზე:

**შპს „თბილისის მწვანე სკოლა“**

**ს/კ 401959528**

**ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22**

**ანგარიშის ნომერი GE44TB7827436020100001**

**სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია თიბისი ფეის აპატარებითა და ვებგვერდის –**

**[www.tbcpay.ge](http://www.tbcpay.ge) დახმარებით.:** მენიუში მოძებნეთ სხვადასხვა>განათლება>მწვანე სკოლა>სწავლის

საფასური>პირადი ნომრით გადახდა და შეიყვანეთ მოსწავლის პირადის ნომერი. ეკრანზე გამოჩნდება

მოსწავლის სახელი, გვარი და გადასახდელი თანხის ოდენობა.

- 2.7. თანხის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია, გადაახდევინოს მშობელს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 2.8. პირგასამტეხლოს დაკისრება არის სკოლის უფლება და არა ვალდებულება, რომლის აუცილებლობასაც სკოლა განსაზღვრავს თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად.
- 2.9. ვადის გადაცილების შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია, მშობელს დაუწესოს გონივრული ვადა თანხის გადასახდელად.

### 3. ბე

- 3.1. ბე ჩაითვლება სასწავლო გადასახადის საფასურში.
- 3.2. თუ მშობელი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას ან/და მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას, ბე რჩება მის მიმღებს.
- 3.3. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, იგი ბე-ს უკან აბრუნებს ორმაგად.

### 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

#### 4.1. სკოლა უფლებამოსილია:

- 4.1.1. თავად დააკომპლექტოს პედაგოგთა შემადგენლობა და თავადვე განახორციელოს ყველა აუცილებელი ცვლილება (პედაგოგთა შეცვლა, სასკოლო ოთახის გამოცვლა და ა.შ.)
- 4.1.2. იხელმძღვანელოს სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
- 4.1.3. გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები, რათა სკოლაში მაქსიმალურად დაცული იყოს ნორმალური სასწავლო პროცესი.
- 4.1.4. დააწესოს მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეული შეზღუდვები, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.
- 4.1.5. მოსწავლე გარიცხოს სკოლიდან საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-19 მუხლი) წესის/“თბილისის მწვანე სკოლის“ შინაგანაწესის საფუძველზე.
- 4.1.6. მოსთხოვოს მშობელს მოსწავლეზე დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთების (წიგნები და სახელმძღვანელოები, პირადი კარადის გასაღები და ა.შ.) სათანადო მოვლა-პატრონობა.
- 4.1.7. მოსთხოვოს მშობელს მოსწავლეზე დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთების (წიგნები და სახელმძღვანელოები, პირადი კარადის გასაღები და ა.შ.) დაბრუნება სასწავლო წლის დასრულებისთანავე.

#### 4.2. სკოლა ვალდებულია:

- 4.2.1. არსებული სასწავლო გადასახადის ფარგლებში უზრუნველყოს მოსწავლე ეროვნული სასწავლო გეგმისა და განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი სასწავლო გარემოთი და პროცესით.
- 4.2.2. შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასწავლო პროცესის დროს. დაიცვას სკოლის შენობაში სათანადო სანიტარული და ჰიგიენური პირობები.
- 4.2.3. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს განახორციელოს მოსწავლის პირველადი დახმარება პროფილაქტიკური და პირველადი დახმარების მოცულობით. ამასთანავე შეატყობინოს მშობელს ან/და სასწრაფო დახმარებას, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.
- 4.2.4. სისტემატიურად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.
- 4.2.5. მიიღოს ზომები სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში.
- 4.2.6. მოსწავლეს და მშობელს გააცნოს ინფორმაცია მათი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ამ უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეული შეზღუდვების შესახებ.
- 4.2.7. განიხილოს მოსწავლეთა და მშობელთა საჩივარი თანაზომიერად და ობიექტურად.
- 4.2.8. მოახდინოს რეაგირება მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე.
- 4.2.9. არ დაუშვას მოსწავლის რელიგიური ან/და პოლიტიკური დისკრიმინაცია, არ შეუზღუდოს მოსწავლეს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.
- 4.2.10. მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესის სისტემატიური დარღვევის შესახებ აცნობოს მშობელს და მოსთხოვოს მას გარკვეული ზომების მიღება.

- 4.2.11. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის გარეშე არ გაახმაუროს მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები.
- 4.2.12. არ გამოიყენოს ისეთი ადმინისტრაციული სასჯელი, რომელიც ლახავს მოსწავლის პირად პატივსა და ღირსებას.
- 4.2.13. მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს საგანმანათლებლო პროცესში ცვლილებების შესახებ.
- 4.3. მშობელი ვალდებულია:**
- 4.3.1. სწავლის დაწყებამდე სკოლაში მოიტანოს მოსწავლის პირადი საქმისათვის საჭირო ყველა საბუთი: მოსწავლის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ჯანმრთელობის ცნობა, ორი ფოტოსურათი და მშობლების პირადობის მოწმობების ასლები.
- 4.3.2. უზრუნველყოს მოსწავლის რეგულარული დასწრება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, აგრეთვე მოსწავლის დაუგვიანებლად გამოცხადება სკოლის შენობაში. დაგვიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია სკოლის ადმინისტრაციისაგან მიღებული ოფიციალური შეტყობინების შემდეგ გადაიხადოს ჯარიმა, რომლის ოდენობა განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით.
- 4.3.3. მოსწავლის ავადმყოფობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლას და გამოცხადებისთანავე წარმოადგინოს სათანადო სამედიცინო ცნობა.
- 4.3.4. აანაზღაუროს მოსწავლეზე დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთების დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი, აგრეთვე ნებისმიერი ზიანი, რომელიც მოსწავლის ქმედებით მიადგება სკოლის მატერიალურ ქონებას (იხ. შინაგანაწესი).
- 4.3.5. კანონმდებლობის შესაბამისად პასუხი აგოს მოსწავლის მიერ სკოლის სხვა მოსწავლეებზე ან თანამშრომლებზე ფიზიკური ან სხვა ზიანის მიყენების შემთხვევაში.
- 4.3.6. გაეცნოს სკოლის შინაგანაწესს.
- 4.3.7. მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესის სისტემატური დარღვევის შემთხვევაში მიიღოს სათანადო ზომები და შეასრულოს რეკომენდაციები, რომლებსაც სკოლა წერილობით მიაწვდის.
- 4.3.8. დამრიგებლის შეტყობინების შემდეგ ან/და საკუთარი ინიციატივით პერიოდულად მივიდეს სკოლაში და გაეცნოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას.
- 4.3.9. აცნობოს სკოლას თავისი მისამართისა და სხვა საკონტაქტო ინფორმაციის (ტელეფონი, ელ.ფოსტა) შეცვლის შესახებ. წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე პასუხისმგებელია მშობელი.
- 4.3.10. გადასახადის დროულად გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში 5 (ხუთი) დღით ადრე აცნობოს სკოლას ამის შესახებ.
- 4.3.11. გამოცხადდეს სკოლაში შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში.
- 4.4. მშობელს უფლება აქვს:**
- 4.4.1. სკოლის დირექციასთან შეთანხმების შემდეგ დაესწროს ნებისმიერ გაკვეთილს.
- 4.4.2. პერიოდულად დეტალურად ესაუბროს კლასის დამრიგებელს მოსწავლის შესახებ.
- 4.4.3. შეხვდეს სკოლის ადმინისტრაციას საჭიროების შემთხვევაში.
- 4.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი მოქმედებს სკოლის მთელ ტერიტორიაზე და მხოლოდ სასწავლო პროცესის განმავლობაში.**

## 5. მოსწავლის მოვალეობები

- 5.1. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნები და დაემორჩილოს სკოლაში არსებულ წესრიგს.
- 5.2. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

## 6. ხელშეკრულების მოქმედები ვადა

- 6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს სასწავლო წლის ბოლომდე.
- 6.2. თუ მხარეები ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არ გამოთქვამენ მისი შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება ითვლება ავტომატურად გაგრძელებულად მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით. იგივე წესი მოქმედებს ხელშეკრულების ყოველი შემდგომი ვადის გასვლისას.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 7.1. ამ ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს:
  - ა. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.
  - ბ. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.
  - გ. მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესისა და დისციპლინის უხეში და სისტემატური დარღვევა.
  - დ. ამ ხელშეკრულების 2.2; 2.3; 2.4; 2.7; 4.3.2; 4.3.7; პუნქტებით დადგენილი წესების შეუსრულებლობა მშობლის მიერ.
  - ე. ამ ხელშეკრულების 2.9. პუნქტით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და ისარგებლოს მისთვის ამ ხელშეკრულებითა და კანონით მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით.

## 8. დავის გადაწყვეტის წესი

- 8.1. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე.
- 8.2. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

## 9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

- 9.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს მათთვის მიუღებელ დებულებებს, ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები შეესაბამება ინტერესებს.
- 9.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 9.3. ხელშეკრულების მხარეებს შორის სკოლის შინაგანაწესიდან და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის ფორმა უნდა იყოს წერილობითი. წინააღმდეგ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება შეტყობინების ავტორს.
- 9.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. ცვლილებებისა და დამატებების ხელმოწერის შემდეგ ისინი ითვლებიან წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. ტექნიკური ხარვეზის შესწორება, ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის შევსება ან/და განმარტება არ ჩაითვლება ცვლილებად.
- 9.5. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე ან/და თუ რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ამიტომ მიიჩნევა ბათილად, აღნიშნული არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას და ხელშეკრულება მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
- 9.6. ხელშეკრულება შედგენელია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელშეკრულების მხარეებს.

**10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა**

**10.1. სკოლა:**

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“  
საბანკო რეკვიზიტები  
მისამართი: 0159 თბილისი, დიღმის მასივი,  
ტელ: 591558800, 591193463  
ელ.ფოსტა: info@greenschool.ge  
ტელ: 2 52 00 08

**მშობელი:**

(სახელი, გვარი) \_\_\_\_\_  
პ/ნ \_\_\_\_\_  
მისამართი: \_\_\_\_\_  
ტელ: \_\_\_\_\_

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

ხელმოწერა: \_\_\_\_\_